ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 17დეკემბრის სხდომის

ოქმი # 9

სხდომა ჩატარდა „ზუმ“ პლატფორმის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდა: სიითი შემადგენლობის 34 წევრიდან - 22.

დღის წესრიგი:

1. სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
2. დოქტორანტ გ. უროტაძის განცხადების განხილვა
   მომხს: თ. დოლბაია
3. დოქტორანტ თ. თოლორდავას სადისერტაციო თემის სათაურის შეცვლის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
4. აკადემიური პერსონალის 2021 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისიის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. ცვლილებები სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამებში დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროფესორმა რევაზ ჯორბენაძემ
აზრი გამოთქვეს: თ. დოლბაიამ, გ. გოგსაძემ, ნ. დურგლიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, თ. მახარაძემ და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს ცვლილებები სოციალური მუშაობის საგანმანათლებლო პროგრამებში და გადაეცეს თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს თსუ აკადემიურ საბჭოზე გასატანად (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. დოქტორანტ გ. უროტაძის განცხადება, რომელიც ითხოვს სადოქტორო პროგრამის შეცვლას, დასწრეთ გააცნო ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ და წარმოადგინა ორივე პროგრამის ხელმძღვანელთა თანხმობის წერილები.

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, რ. ჯორბენაძემ, თ. მატარაძემ და სხვ.

დაამტკიცეს : დაკმაყოფილდეს „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის პირველი სემესტრის დოქტორანტ გრიგოლ უროტაძის თხოვნა „დემოგრაფიის“ სადოქტორო პროგრამაზე გადაყვანის შესახებ

მოისმინეს: 3. „კონფლიქტების ანალიზისა და მართვის“ სადოქტორო პროგრამის მესამე სემესტრის დოქტორანტ თამარ თოლორდავასთვის სადისერტაციო თემის სათაურის შეცვლის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა თ. დოლბაიამ

აზრი გამოთქვეს: რ. ჯორბენაძემ, თ. მახარაძემ, ხ. მაისაშვილმა, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს : დამტკიცდეს დოქტორანტ თამარ თოლორდავას სადისერტაციო თემის სათაური შემდეგი სახით: „ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გავლენა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელი და სომეხი ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო აქტივობაზე“.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა ისაუბრა აკადემიური პერსონალის 2021 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ასევე დააზუსტა, რომ მხოლოდ სახელფასო დატვირთვის 80 ქულიან კომპონენტში - „პუბლიკაცია ინდექსირებული ტომსონ როიტერის, Web of Science და Scopus - ის მიერ, ჩაითვლება ერთზე მეტი გამოქვეყნებული სტატია

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, მ. შამილიშვილმა, თ. მახარაძემ, ნ. დურგლიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს აკადემიური პერსონალის 2021 წლის სახელფასო სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1) თამარ დოლბაია - ფაკულტეტის დეკანი;
2) თეონა მატარაძე - დეკანის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
3) სალომე დუნდუა - დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში;
4) სანდრო ტაბატაძე - სამმეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მ.შ.;
5) თეა ვახანია - ფინანსური კონსულტანტი;
6) მაკა გოგილაშვილი - დეკანის თანაშემწე.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: მ. შამილიშვილი, პროფესორი

17 დეკემბრის სხდომას ესწრებოდნენ:

1. თამარ დოლბაია
2. გიორგი გოგსაძე
3. ნინო პავლიაშვილი
4. სალომე დუნდუა
5. ზვიად აბაშიძე
6. მალხაზ მაცაბერიძე
7. ალექსანდრე კუხიანიძე
8. მანანა შამილიშვილი
9. ნანული ტალახაძე
10. მარი წერეთელი
11. რევაზ ჯორბენაძე
12. ზურაბ აბაშიძე
13. ამირან ბერძენიშვილი
14. თამარ მახარაძე
15. ნინო დურგლიშვილი
16. ალექსანდრე გაბაშვილი
17. ცირა თოფურია
18. ვაჟა ლორთქიფანიძე
19. ფიქრია ასანიშვილი
20. ზურაბ დავითშვილი
21. თეონა მატარაძე
22. ზაქრო ნაჭყებია

დანართი #1

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის სხდომაზე შუამდგომლობს და განსახილველად წარმოგიდგენთ ცვლილებებს **სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის** *საბაკალავრო, სამაგისტრო და დოქტორანტურის* საგანმანათლებლო პროგრამებში ***სოციალური მუშაობა*** (დამტკიცებული სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2021 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე, ოქმი N9), შემდგომში აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებზე ანგარიშის წარდგენის მიზნით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სოციალური მუშაობა

ცვლილების აღწერა: *სასწავლო კურსში ლექტორის ცვლილების შესახებ*:

- ✓ სასწავლო კურსს **„სოციალური მუშაობის ზოგადი პროექტის საფუძვლები: ინდივიდებთან და ოჯახთან მუშაობა“** - ასოცირებული პროფესორი ნათია ფარცხალაძე ჩანაცვლდა ნაცვლად ნინო ნუცუბიძისა;

ცვლილების აღწერა: *სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლის შესახებ*:

- ✓ სასწავლო კურსს **„ჯგუფთან მუშაობა“** - შეეცვალა სტატუსი არჩივითადან სავალდებულოზე.

ცვლილების აღწერა: *ახალი არჩევითი სასწავლო კურსის დამატების შესახებ*:

- ✓ სასწავლო გეგმაში დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი **„ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის საფუძვლები“** - ლექტორი ასოცირებული პროფესორი ნათია ფარცხალაძე.

ცვლილების აღწერა: *არჩევითი სასწავლო კურსის სასწავლო გეგმიდან ამოღების შესახებ*:

- ✓ *ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან სასწავლო კურსი* **„მზრუნველობას მოკლებული მოზარდების რისკები რეპროდუქციურ ჯანმრთელობასა და ადიქციურ ქცევასთან მიმართებაში“.**
- ✓ *ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან სასწავლო კურსი* **„უმცირესობატა პოლიტიკა“.**

ცვლილების აღწერა: *სასწავლო კურსის სახელწოდების ცვლილების შესახებ*;

- ✓ *შეეცვალოს სახელწოდება სასწავლო კურსს „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის საფუძვლები: ინდივიდებთან და ოჯახებთან მუშაობა**“ - ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის <u>თეორიული</u> საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა**“*

✓ *შეეცვალოს სახელწოდება სასწავლო კურსს „**ჯგუფებთან მუშაობა**“ - ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა**“*

✓ *შეეცვალოს სახელწოდება სასწავლო კურსს „**თემებთან და ორგანიზაციებთან მუშაობა**“ - ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა**“.*

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსის წინაპირობის ცვლილების შესახებ:

✓ *დაკორექტირდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა**“ წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ინდივიდებსა და ოჯახებთან მუშაობა**“,*

✓ *დაკორექტირდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა**“ წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა**“.*

✓ *დაკორექტირდეს სავალდებულო სასწავლო კურსის "**სოციალური მუშაობის სამართლებრივი ასპექტები„** წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა**“*

✓ *დაკორექტირდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „**სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა**“ წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: თემებსა და ორგანიზაციებთან მუშაობა**“,.*

✓ *დაკორექტირდეს არჩევითი სასწავლო კურსის „**ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა**“ წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „**სოციალური მუშაობის შესავალი**“.*

✓ *დაკორექტირდეს წინაპირობა **საბაკალავრო ნაშრომისათვის** შემდეგი მოცემულობით „სტუდენტს უნდა ჰქონდეს დაგროვებული მინიმუმ 200 კრედიტი (მინიმუმ 75 კრედიტი - სოციალური მუშაობის მაპროფილებელი სავალდებულო სასწავლო კურსები)“.*

ცვლილების აღწერა: სასწავლო კურსებში ლიტერატურის განახლების შესახებ

✓ *განახლდეს ლიტერატურა შემდეგ სასწავლო კურსებში:*

1. *„ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია“,*
2. *„ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა“,*
3. *„სოციალური მუშაობა აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან „,*
4. *„ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარება“*

5. „თანამედროვე სოციალური პრობლემები I, II „
6. „სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა“;
7. „სოციალური კვლევები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა';
8. „სოციალური სივრცე და ურბანული განვითარება“;
9. „სოციალური მუშაობა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან“;
10. „ლგბტქი იდენტობა - ბიო-ფსიქო-სოციალური პერსპექტივა“;
11. „კულტურული მრავალფეროვნება და სოციალური მუშაობა“;
12. „სოციალური მუშაობის შესავალი“;
13. „სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში“.
14. 'სოციალური მუშაობა და ბავშვთა დაცვა ძალადობისა და უგულებელყოფისგან'.

ცვლილების აღწერა: საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამის განახლებისა და სტრუქტურის ჩარჩოს ცვლილების შესახებ:

- ✓ *საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ფორმალური ჩარჩო შეიცვალა და გაიწერა რვა სემესტრზე.*
- ✓ *მოდიფიცირდა „სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების: ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისი დონეების შესაბამისად და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“. განხლდა მიზნები, შედეგები, სილაბუსებში განახლდა შეფასების სისტემა და სავალდებულო ლიტერატურა.*

დამატებით (მაინორ) პროგრამა *სოციალური მუშაობა:*

ცვლილების აღწერა: *სასწავლო კურსის ცვლილების შესახებ*

- ✓ *ჩანაცვლდეს სასწავლო კურსი „**სოციალური მუშაობის ზოგადი პრაქტიკის თეორიული საფუძვლები: ჯგუფებთან მუშაობა და ადამიანის ქცევა სოციალური გარემოში II**“ ნაცვლად სასწავლო კურსისა „**სოციალური მუშაობის კვლევის მეთოდები I და II**“.*

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სოციალური მუშაობა

ცვლილების აღწერა: *სასწავლო კურსის განახლების შესახებ:*

- ✓ *განალდეს შემდეგი სასწავლო კურსები:*
  1. *„სოციალური მუშაობის პრაქტიკა 1“*
  2. *„სოციალური მუშაობის პრაქტიკა 2 „*
  3. *„სოციალური მუშაობის პრაქტიკა 3 „*

(სოციალური მუშაობის პრაქტიკის სამივე კურსი განსხვავებულ პრაქტიკის სწავლების კომპონენტს შესთავაზებს დასაქმებულ და დაუსაქმებელ სტუდენტებს).

4. *„ სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა 1 „*
5. *„სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა 2 „*
6. *„ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში 1 „*
7. *„ადამიანის ქცევა სოციალურ გარემოში 2 „*
8. *„სოციალური კვლევის მეთოდები 1 „*
9. *„სოციალური კვლევის მეთოდები 2 „*
10. *„საერთაშორისო სოციალური მუშაობა“*
11. *„სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულებების მქონე პირებთან“*
12. *„ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა და პრაქტიკა“*
13. *„ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა“.*

ცვლილების აღწერა: *სასწავლო კურსის წინაპირობის ცვლილების შესახებ:*

კურსებზე დაშვების წინაპირობის ცვლილება:

- ✓ *დაკორექტირდეს სავალდებულო სასწავლო კურსის „**სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა**“, წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I & II „.*
- ✓ *დაკორექტირდეს არჩევითი სასწავლო კურსის „**სოციალური მუშაობა და ბავშვთა კეთილდღეობა**“ წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I“.*
- ✓ *დაკორექტირდეს არჩევითი სასწავლო კურსის „**სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში**“ წინაპირობა შემდეგი მოცემულობით “სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I „.*
- ✓ *დაკორექტირდეს არჩევითი სასწავლო კურსის „**სოციალური მუშაობა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები**“ - წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I“.*
- ✓ *დაკორექტირდეს არჩევითი სასწავლო კურსის „**სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში**“ - წინაპირობა შემდეგი მოცემულობით „სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა I „.*

ცვლილების აღწერა: *ახალი სასწავლო კურსების დამატების შესახებ:*

ახალი კურსების დამატება:

დაემატოს სასწავლო გეგმას შემდეგი სასწავლო კურსები:

1. „სოციალური მუშაობა და ბავშვებზე მორგებული მართლმსაჯულება: თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“ - მოწვეული ლექტორი თინა ცერცვაძე, 5 კრედიტი;
2. „სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში“ - მოწვეული ლექტორი ნელი აკობია, 5 კრედიტი.
3. „სოციალური მომსახურების ხარისხი“ - ლექტორები თენგიზ ვერულაშვილი და ნინო შატბერაშვილი, 5 კრედიტი.
4. „სტატისტიკა“ - მოწვეული ლექტორი ივანე კეჭაყმაძე, 5 კრედიტი.

***ცვლილების აღწერა**: სასწავლო კურსების აღდგენის შესახებ:*
აღდგეს სასწავლო გეგმაში შემდეგი სასწავლო კურსები:

1. „სოციალური მუშაობა ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირებთან“ - მოწვეული პედაგოგი ზურაბ ტატანაშვილი, 5 კრედიტი.
2. „ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა“ - ალექტორი თამარ მახარაძე, 5 კრედიტი.

***ცვლილების აღწერა**: სასწავლო კურსის სასწავლო გეგმიდან ამოღების შესახებ:*
ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან შემდეგი სასწავლო კურსი:

1. „სოციალური მედიცინა“ -არჩევითი კურსი.

***ცვლილების აღწერა**: სასწავლო კურსის საელწოდების ცვლილების შესახებ:*
შეეცვალოს სახელწოდება შემდეგ სასწავლო კურსებს:

- ✓ *სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის არჩევით კურსს - „სოციალური მუშაობა ჯანდაცვის სისტემაში“ და ეწოდოს „**ჯანმრთელობა და ქცევის ცვლილების თეორიები**“* (ლექტორი ზურაბ ტატანაშვილი).
- ✓ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის არჩევით კურსს - *„სოციალური მუშაობის ხარისხი“ და ეწოდოს „**სოციალური მომსახურებების ხარისხი**“* (ლექტორები: თენგიზ ვერულავა, ნინო შატბერაშვილი).
- ✓ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის არჩევით კურსს - *„კლინიკური გერონტოლოგია“ და ეწოდოს „**ხანდაზმულებთან სოციალური მუშაობის გაღრმავებული პრაქტიკა**„* (ლექტორი ნათელა ფარცხალაძე).
- ✓ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის არჩევით კურსს - *„ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა: სოციალური მუშაობის პერსპექტივა“ და ეწოდოს „**ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკა და პრაქტიკა**„*(ლექტორი თამარ მახარაძე).

***ცვლილების აღწერა**: სასწავლო კურსში ლექტორის ცვლილების შესახებ:*

✓ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსს - *„სოციალური მუშაობის ჩაღრმავებული პრაქტიკა 1“, ნაცვლად* - ნინო ნუცუბიძის ნაცვლად *წარუძღვება* ასოცირებული პროფესორი ნათია ფარცხალაძე.

✓ სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის სავალდებულო კურსს - *„სოციალური მუშაობის პრაქტიკა 1“, ნაცვლად* ნინო შატბერაშვილისა *წარუძღვება ლექტორი* წაიკითხვას ასოცირებული პროფესორი ნათია ფარცხალაძე.

***ცვლილების აღწერა**: პროგრამული ცვლილებების შესახებ:*

შეიცვალა პროგრამის მიზნების და შედეგები:

✓ მოდიფიცირდა „სოციალური მუშაობის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების: ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს VI და VII დონეების შესაბამისად და დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად“.

შეთავაზებულია კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლება

✓ სტუდენტებს პროგრამა შესთავაზებს კომპეტენციებზე ორიენტირებულ (თემატურად დაჯგუფებულ) სწავლებას. მათ შეეძლებათ პრაქტიკული სწავლების პროფილურ კომპონენტთან ერთად შეარჩიონ მინიმუმ ორი არჩევითი კურსი[1] (ე.ი. ორი თეორიული და ერთი პრაქტიკული კურსი, რაც მათ კონკრეტული სფეროსათვის ამზადებს) ოთხი სხვადასხვა სპეციალიზაციით:

- სოციალური მუშაობა ბავშვთა ზრუნვის სფეროში
- სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სფეროში
- სოციალური მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში
- სოციალური მუშაობა საგანმანათლებლო სისტემაში.

✓ პროგრამა სტუდენტებს შესთავაზებს სპეციალობაში სამუშაო მეთოდების შერჩევის საშუალებასაც სოციალური მუშაობის სამ დონეზე: მიკრო (უშუალო პრაქტიკის განხორციელებით დაინტერესებული სტუდენტებისათვის), მეზო (ორგანიზაციული/მომსახურებების ადმინისტრირებით დაინტერესებულთათვის) და მაკრო (პოლიტიკის დონეზე მუშაობით დაინტერესებულთათვის). მათ შეეძლებათ სფეროების მიხედვით ბლოკირებული კურსების პროფესიული პრაქტიკის სასურველ დონესთან კომბინირება.

✓ პროგრამა სტუდენტებს შესთავაზებს სამ საგანს კონკრეტული სპეციალიზაციით დაინტესების შემთხვევაში (ერთ სავალდებულოს და ორ არჩევითს). ხოლო სტუდენტებს, რომლებიც არ არიან დაინტერესებული უშუალო პრაქტიკის განხორციელებით სამაგისტრო სწავლების დასრულების შემდეგ, ან სურთ უშუალო პრაქტიკის განხორციელება სხვა სამიზნე ჯგუფებთან ან სფეროებში, შესაძლებლობა ექნებათ აირჩიონ არჩევითი კურსები ამ კატეგორიზაციის გარეშე, თავისუფალ რეჟიმში.

გადანაწილდა საგანმანათლებლო პროგრამაში კრედიტების გადანაწილება:

✓ *თავისუფალი 10 კრედიტი დაეთმო სავალდებულო არჩევით კურსებს;*

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა სოციალური მუშაობა

ცვლილების აღწერა: საგანმანათლებლო პროგრამის განახლების შესახებ:

1. განახლდა პროგრამაში მიღების წინაპირობა - დაზუსტდა, რომ პროგრამზე ჩაბარების უფლება აქვთ მხოლოდ სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისიხის (GPA 3 ან მეტი) ან სფეროში არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილების მქონე პირს.
2. განახლდა პროგრამის მიზნები და შედეგები, რომლებიც გააანალიზდა საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებთან მიმართებით;
3. სავალდებულო საგანში „ კვლევის მეთოდოლოგია სოციალურ მეცნიერებებში - ემპირიული კვლევის მეთოდები" განახლდა ლიტერატურა. რეკომენდებულ ლიტერატურას დაემატა:

   Allen Rubin & Earl R. Babbie (2016) Research Methods for Social Work, Brooks Cole

   Deborah K. Padgett (2016) Qualitative Methods in Social Work Research Sage Publications, Inc

საფუძველი: *საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით ხარისხის ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის საბჭოს (05.11.2021) დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები და რჩევები*

---

[1] ზოგიერთი თემატური დაჯგუფების ქვეშ პროგრამა სტუდენტს სთავაზობს სამ კურსს, საიდანაც ის საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩევს ორს.